ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4515661

ნომერი: AR1682685

თარიღი : 21.05.2019

გაცემის თარიღი : 24.05.2019

გაცნობის თარიღი : 26.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი გოგრიჭიანი პ/ნ 60003000511
- ქ.თბილისი. თ.ერისთავის #3/90

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 25/05/2019 წლის AR1682685 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N37ა, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.06.007.020) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (ინტერაქტიულ რუკაზე თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკის ინფორმაცია ხელმისაწვდომია „მიწათსარგებლობის გენგეგმის“ ველში გამწვანებული ტერიტორიების ფენის მონიშვნის გზით). თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკის თანახმად, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების 68-ე მუხლის შესაბამისად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა. აღნიშნული დანართი 1-ის მიხედვით, სარეკრეაციო ზონა 2-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დასაშვები არ არის. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების თაობაზე.

აქვე განგიმარტავთ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ თქვენი სურვილია ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განახორციელოთ ისეთი ფუნქციის მშენებლობა, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი 1-ის შესაბამისად, შესაძლებელია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე, საჭიროა პირველ რიგში მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge-ზე. ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე დადებითი აქტის გამოცემის შემდგომ, შეგიძლიათ მომართოთ სამსახურს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების მოთხოვნით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.